N 03/1073
01/11/2019

1073-03-2-201911010915

საქართველოს რეფორმების ასოციაციის პროექტს
ფაქტ-მეტრის (www.factcheck.ge)
რეგიონულ (აჭარა) ანალიტიკოსს

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი, 2019 წლის, 16 ოქტომბრის №2292/03 კორესპონდენციის შესაბამისად გიგზავნით ინფორმაციას აგრომომსახურებისა და ლოჯისტიკური ცენტრების შესახებ. კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში სულ დაგეგმილი იყო 5 აგრომომსახურებისა და 1 ლოჯისტიკური ცენტრის მოწყობა. კერძოდ: ქობულეთის, ბათუმის (ხელვაჩაურის), ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში აგრომომსახურების ცენტრები და ქალაქ ბათუმში (ხელვაჩაურის) ლოჯისტიკური ცენტრი.

სულ მიმდინარე ეტაპზე მშენებლობაზე დაიხარჯა - 1 214 346.36 ლარი.

მათ შორის:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის დაიხარჯა - 175 665.36 ლარი;
2. ბათუმის (ხელვაჩაურის), მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების და ლოჯისტიკური ცენტრის მშენებლობისათვის დაიხარჯა - 335 561.54 ლარი;
3. ქედის მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის დაიხარჯა - 235 204.17 ლარი;
4. შუახევის მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა არ დასრულებულა, ვინაიდან შეწყვეტილია ხელშეკრულება მომწოდებელთან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, თუმცა მ/ეტაპისათვის სულ აღნიშნული ობიექტის მშენებლობისათვის დაიხარჯა - 79 136.65;
5. ხულოს მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. მიმდინარე ეტაპისათვის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს - 383 283.48 ლარს;
6. აგრომომსახურების და ლოჯისტიკური ცენტრის (ქობულეთი, ბათუმი, ქედა) ინფრასტრუქტურის მოწყობაზე დაიხარჯა - 83 289.21 ლარი;

აგრომომსახურების და ლოჯისტიკური ცენტრის აღჭურვისათვის კი სულ დაიხარჯა - 1 074 290.30 ლარი.

მათ შორის:

1. შეძენილ იქნა - 2 ერთეული პროდუქციის დამხარისხებელი და შემფუთავი ტექნოლოგიური ხაზი - 151 866 ლარი;
2. 3 ერთეული ბოსტნეულის დამუშავების ხაზი - 258 000 ლარი;

3. 2 ერთეული ექსტრუდორი - 32 981 ლარი;

4. 5 ერთეული ხილის კონვექციური ტიპის საშრობი კარადა (2 ერთეული ერთ კამერიანი, 3 ერთეული 2 კამერიანი) - 162 155.6 ლარი;

5. 5 ერთეული ოთხთვალა ურიკა სტელაჟებისთვის - 4 649.2 ლარი;

6. 5 ერთეული უჟანგავი ქვაბი საშრობი კარადისთვის - 4 944.20 ლარი;

7. აგრომომსახურების და ლოჯისტიკური ცენტრში მოეწყო სულ 120 კვ.მ მოცულობის მაცივარ-კამერები - 312 010 ლარი;

8. 1 ერთეული ელექტროტვირთამწე - 45 902 ლარი;

9. 4 ერთეული ჰიდრავლიკური შტაბელერი და 1 ერთეული პნევმატური ურიკა - 9 617 ლარი;

10. 16 000 ერთეული პალეტების შესაკრავი მასალა (კომპლექტი) - 10 990 ლარი;

11. 6 ერთეული ელექტრო სასწორი - 9 434.1 ლარი;

12. 300 000 ერთეული პროდუქციის ეტიკეტირება - 7 540.2 ლარი;

13. 3 000 ერთეული პლატმასის ყუთი (25 კგ. ტევადობით) - 19 420 ლარი;

14. 2 000 ერთეული პლატმასის ყუთი (12 კგ. ტევადობით) - 3 115.2 ლარი;

15. 2 000 ერთეული ქვეში (პადონი) - 37 760 ლარი;

16. 6 ერთეული სატვირთო და 1 ერთეული მაცივარ რეფრეჟერატორი - 220 424 ლარი.

17. 150 000 ერთეული პოლისტიროლის თეფში პროდუქციისთვის - 8 850 ლარი;

აგრომომსახურების ლოჯისტიკური ცენტრი არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს ბალანსზე, რომელიც ახორციელებს მის მოვლა-პატრონობას.

რაც შეეხება აგრომომსახურებისა და ლოჯისტიკური ცენტრების თვლად პარამეტრებს, აღნიშნულის შესახებ დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამის ბიზნეს-გეგმას (დანართი №1).

ქვეპროგრამის „ადგილობრივად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების მიზანია რეგიონში ლოჯისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციული ფორმირება. რაც შუახევის მუნიციპალიტეტში აგრომომსახურების ცენტრის მოწყობის დასრულების (2020 წლის პირველ ნახევარში) შემდგომ იქნება საბოლოო სახით ფორმირებული.

დანართი - 55 ფურცელი.

პატივისცემით,

ტიტე არაშიძე

მინისტრი